კვირა 4 აპრილი ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მათრახი

№ 14 ▭-სალამური

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.

## ე ქ ი მ თ ა ნ




ლითოგრაფია ს. ბიხოვისა.

**ექიმი.** რა სენით არიან შეპყრობილნი?

**ეშმაკი.** აი ის უფროსი მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. ვგონებ „დრამატურგობა“ უნდა სჭირდეს. ეს პატარა „პოეტობით“ არის შეუძლოთ. უშველეთ რამე ბ-ნო ექიმო!

**ექიმი.** ჰმ... არ ვიცი ღმერთმანი... ორივე თანამედროვე, გადამდები და უკურნებელი სენია.

# ჩემს გულს.

—

გულო ნუ ხარ კარ დახშული!
ვიშ!.. შეხედე ამ გაზაფხულს...
მოლაჟვარდე ც'სა ტატნობს,
მიწას უცხოთ გადაკარგულს...
მოჩხრიალე ნაკადულებს,
ჩიტუნების მღერა ლხენას,
მკვდარ ბუნების გაცოცხლებას
და საერთო აღმაფრენას.
შეუერთე შენც მათ ჰიმნი,
დაცხრი, მიეც სულს სიმშვიდე,
გრწამდეს, შენი გაზაფხულიც
საცა არის მოვა კიდევ!

**შხანკოლა.**



# ეშმაკის კალენდარი.

## ა პ რ ი ლ ი.

რას გვიმზადებს აპრილი?

აი რას:

მზისგან გვიშვამდგომლებს მეტს სითბოს.

მთავრობისაგან მოგვანიჭებს მეტს სიცხეს.

და აი მაშინ იკითხოს ადამის მოდგმამ ორ ცეცხლ-შუა ყოფნა!

მზის სითბო გააღვიძებს ბუნებას (უმთავრესათ პოეტურ არსთა გრძნობებს) ააყვავ-ააფერადებს მიდამოს.

მთავრობის სიცხე ფრთებს შეახრუკავს აყვავებულ იმედებს და აფერადებულ ბუნებას.

ეს არის ზოგადი წინათქმა ეშმაკთა უხუცესისა და ისმენდეთ მას.

—

— სახელმწიფო დუმა... (უკაცრავად მკითხველთან, რომ ასეთ უცენზურო საგანზე ჩამოვაგდე ლაპარაკი!) მიიღებს... მეორე ლანძღვა-გინების წერილს პურიშკევიჩისაგან.

იგივე დაწესებულება მიიღებს კანონ-პროექტს: საინტენდანტოებში თაგვების ხაფანგთა შემოღების შესახებ.

იგივე ,,პარლამენტი'' მიანიჭებს ფინლიანდიის უფლებას: განვითარდეს და აღორძინდეს თანახმად რუსეთის ძირითადი კანონებისა.

გამოსცემს ახალ კანონს... (მაგრამ ეეჰ .. განა ღირს ამაზე ლაპარაკი! ჯერ ერთი მისი კანონი რა კანონი იქნება და მერმე ჩვენში კანონი რა მოსახმარია!)

—

იმედია, მოგეხსენებათ მარტისა და აპრილის კამათი: ,მარტმა სთქვა თოვლ-ჭყაპს ვაპირობ, ღმერთო, მიმართე ხელიო. უნდა გავსწყვიტო ცხვარი და ძროხაო''

ეს დაპირება მარტმა აასრულა ე. ი. ცხვარი და ძროხა გასწყვიტა, მაგრამ არა ძველებური, უკულტურო საშვალებით არამედ ახალის, კონსტიტუციური გზით, არა თოვლ-ჭყაპების, არამედ ეგზეკუციების მეოხებით.

სამაგიეროთ აპრილმა შეუთვალა: ,,რაებს ამბობ, მარტო, სწორეთ ჭკუა თხელი ვინმე ბრძნებულხარ, რა საჭიროა ცხვარისა და ძროხების გაჟლეტა, ისედაც გაღატაკებულ ხალხს განა ესლა უნდა კიდევო. მე სახნის-საკვეთის დაფერვას ვაპირებო." ასე იყო ძველათ, წელს?

შევარდება სახლში სამუშაოთ გადაკაპიწებული აპრილი, მაგრამ.. მშვიდობით იმედებო! სად არის სახნისი, სად არის საკვეთელი. სადღა არის თოხი, ბარი, ნაჯახი!

თქვენ ალბათ მიხვდით, რომ ყველაფერი ეს, საწინდრათ იქნება წაღებული სახელმწიფო და სასულიერო გადასახადებში.

—

ქართულ მწერლობაში დიდი და საგრძნობელი ცვლილება მოხდება.

,,დროების'' რედაქცია (..გარდანქეშანის რჩევით) მოიწვევს ახალ ძალებს: პოეტ მაკალატიას, ამბაკო მაღრაძეს და ნატალია გიგაურს.

,,თეატრი და ცხოვრება'', რაკი თეატრი ცხოვრების სახსარს აღარ იძლევა, სათაურს შესცვლის: ,,თეატრი და ცხოვარნი''. რედაქტორიც წვერ-ულვაშს მოუშვებს.

გაზეთი ,,ფონი'' ღრმა წყალში შესტოპავს და დაიხრჩვება. გვამს სამტრედიის ქვემოთ, „ორპირში" აღმოაჩენენ.

გაზეთი ,,ხალხი''-ც, რასაკვირველია მიბაძულობით, სახელს გამოიცვლის და ,,სახალხოს'' დაირქმევს, ხოლო ხელმძღვანელათ მოიწვევს საბერთალოელ ხალხის სალახს, ძველათ ცნობილ ,,მაკარიოზს'' სევასტი გაჩეჩილაძეს.

გაზეთი ,,ახალი სხივი'' ძველი ,,სხივის'' შესაერთებლათ წავა.

ჟურნალი ,,შინაური საქმეები'' ისევ გარეულ ხელმძღვანელთა ანაბარა დარჩება.

პატივცემული სოციოლოგი არჩილ ჯორჯაძე საბოლოოთ შეაერთებს ქართველი ერის დემოკრატიას, მაგრამ რასაკვირველია ქაღალდზე და ციფრების საშვალებით.

ქართული ფილოსოფოსი გრიგოლ რობაქიძე გადასჭრის აგრარულ-ტერიტორიალურ საკითხს. მისი სისტემის თანახმათ თითო უმიწაწყლო ოჯახს მიეცემა **თითო ტაპი** ,,ვეფხის ტაყოსნისა,‘‘ რაიცა უდრის დაახლოებით 2000 დესიატინას, ანუ 4000 დღიურ მიწას, რომელთაგან ორი წილი სახნავ-სათესი იქნება, ხოლო დანარჩენი საბალახო და ტყე.

ქ.შმაკი.



დეპეშები.

**სოფ. ბაღდადი**. ბაღდადის ქსენონს ადგილობრივი ჰავა არ მოეწონა და გაპარვა განიზრახა. გზაზე დაიჭირეს და დააბრუნეს.

ადგილობრივ მედელეჟენეთა განკარგულებით ფეხით სიარული იკრძალება: ხალხი იქანცებაო.

**ჭიათურა**. ზოგიერთი მუშები სამადლობელი ადრესის მირთმევას უპირებენ ბ ნ ერ. თაყაიშვილს, ვინაიდან ის დაუძინებლივ ზრუნავს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობაზე.

**იქიდანვე.** ვლ. ჟორდია დღეს თუ ხვალ მიიღებს ჭიათურის ჩემპიონობას კეტის ტრიალში.

(მეთოხის საგენტო)

**ჯუმათი**. ვანო გურიელის „ვლეხთა ამყრელ‘‘ რაზმს შეტაკება მოუხდა სოფ. ებალაურის უიარაღო გლეხებთან. რაზმს წინამძღვრობდა სარდალი დიმიტრი გეგინეიშვილი. გლეხები ძლეულ და ციხეში თრეულ იქმნენ. რაზმის უფროსი მოითხოვს საჯუმათო წესები იქნას გამოცხადებული.

**აცანა**. მამასახლისის შემოწმებით ღამ-ღამე ხალხისა და უმთავრესათ ქალ-ბავშვთა დაწიოკება ჩინებული საშვალება ყოფილა... (შემდეგი ვეღარ გავარჩიეთ).

**ჩიბათი.** ვერ გამოურკვევიათ, თუ ჩიბათის სამკითხველო რატომ დღემდე არ იღებს „მათრახ-სალამურს‘‘, თუმცა გამოსაწერი ფული თებერვალშივე მიუღია ბ-ნ პ. ს—ძეს. ალბათ მათრახს უცდის.

**სამტრედია.** 28 მარტს წარმოადგინეს ,,ძუნწი‘‘. როგორც სცენაზე, აგრეთვე დარბაზშიაც სრული სიძუნწე იყო, ვინაიდან დაესწრო $1^{1}/_{2}$ ინტელიგენტი, $2^{3}/_{4}$ მუშა, 3 ნოქარი.

**იქიდანვე.** ამას წინათ ერთ ,,აფთიაქის მაღაზიაში‘‘ აღმოაჩინეს რამოდენიმე რეცეპტი. ვინაიდან მათ იქ შესვლის ნება არა ჰქონიათ, ყველას მახლობელ ქალაქში უპირებენ გადასახლებას სასჯელის მოსახდელათ.

**იქიდანვე.** გვეწვია კალანდაძის ცირკი. ინტელიგენცია დიდ სიხარულშია. მეშვიდე დღეა, რაც გადამწყვეტი ჭიდაობა დაიწყო მეაფთიაქესა და დათიკოს შორის.

**იქიდანვე.** ზოგიერთ პირებს განუზრახავთ სამტრედიაში პოლიციელი ძაღლის გამოწერა უმთავრესი დანიშნულება კორესპოდენტების აღმოჩენა იქნება.

**იქიდანვე** (შეცდომის გასასწორებლათ). სიმართლეს მოკლებულია, თითქო ,,ბაგაჟნი კასირი‘‘ ხელს იტკივებდეს. ეს სენი სტანჯავს ,,ტოვარნი კასირს‘‘.

(ჩიკლიკოს საგენტო)

**თელავი.** საკრებულო დარბაზში ხუთშაბათობით და კვირაობით იმართება ,,ლოტობანა‘‘. გარდა დედაკაცებისა ესწრობიან აგრეთვე ბარიშნობა და ყმაწვილი კაცები. თითო ბარიშნას ორივე მხარეზე ყმაწვილი კაცები უსხედან. ამნაირ თამაშს თურმე ორნაირი სარგებლობა მოაქვს.

**იქიდანვე.** მოვიდა თოვლი, რის გამოც გალავამ გადასწყვიტა მეორე ზაფხულამდის სახლში ჯდომა.

**ქურდღელაური.** ბოქაული და მემამულე წერეთელი წაიკიდნენ. მიზეზათ ქრთამის აუღებლობას ასახელებენ, თუმცა ამბობენ ბოქაული უდანაშაულოა ამ საქმეშიო. საქმე გამომძიებელზეა გადაცემული.

**ქალაური**. სამრევლო სკოლის მასწავლებელი ძალიან გაბრაზებულია. სურს დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ მან არამც თუ საარშიყო, არამედ უბრალო წერილების წერაც არ იცის.

**ენისელი**. სამუდამოთ დაიკეტა საავათმყოფო და აფთიაქი. ექიმის მეცადინეობით და ლოცვა-კურთხევით ახლო-მახლო სოფლებს თურმე ავათმყოფობა არ მიეტანება.

**კახეთი.** ას სოფელში გაიხსნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლები.





# ქართული ხელოვნება.




ზემოთ ყვავის გემოვნება, ქვემოთ ჭყავის ხელოვნება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

შენ ნაზი ხარ, ვით პეპელა
ზურმუხტ ველზე მოფარფატე,
მუდამ ლაღი, მხიარული,
ნიავავით ცელქი... მჩატე..
ოცნებისგან განუყრელო,
გულში მტკიცედ ჩამეხატე!
დაგედევნე... ვერ დაგიპყარ..
სევდა უფრო მომიმატე...

*
* *

აგერ, ბადე გაუშლია,
ობობაა იგი მწერი,
შენისთანა ნაზ-არსების
საგანგებო ბადით მჭერი!
ფრთხილად!.. ფრთხილად!.. არ ჩავარდე...
აგერ ბადეც, ის ოხერი!..
მაგრამ.. არა, გენაცვალე!
უძლურია შენთან მტერი...

*
* *

აჩრდილივით თან დაგყვები,
მტკიცე გრძნობით შენაფისი.
გინდ ობობა წინ აღმიდგეს,
გინდ სხვა მწერი, მსგავსი მისი,
გარწმუნებ, რომ ყველას გავსცე
მე პასუხი საკადრისი
და მტერს ხელში არ ჩავუგდო
ჩემი სატრფო... ჩემი თვისი!..

**ნ. ზომლეთელი.**

---

## გოგიტაის წერილი ქუთაისის დეპუტატთა საბრანიაში.

ტყულათაი სამადურო და ჩემო ურგებო ძმაო დეპუნტანტო სოფრომიავ! ერთმა ღმერთმა იცის და მეორე შენ, რომ აგერ ოთხმოცი წლის ვარ, ჩევიბონძლე კაცი და საფიცრათ აფერზე დამჭირებიხარ. ახლაც არ გახსენებდი, მარა კუჭით აგერ გავსკტები კაკალ გულზე და მოთმენაც არ შემიძლია. არა, უნამუსობა ამას იქით რავა წავა!.. წროუნდელი თმისისკე გადასახადიდგან ლანკი არ გვაქ და შენც ახლა მოგვაპოჭიკე კისერში ბოჭიკაი არა, ქემაინც შემოგეთვალა რა გვემართა შენი, რომ შემოგვისიე აგი მუტრუკები და გააკაიპებიე ჩვენი თავი. არა სირცხვილის მაინც რეიზა არ გრცხვენია აგი გულვანაის დატიებული აზნაურობა მქონდა და აგიც საყიდლათ მომიქციე და იქინეი თუთხმეტი შიშველი მანეთი დამაკარჭვლიე. ახლა კიდო მომდგომიხარ....... და აგი წლიურიო, აგი ედენიკებიო და ტყავს გვაშპობ კისერში. რავა რაცხა აზნაურობაა იქინეი თუ მუზანდარაში გყავს დანწყდოული და ამის მონაწყესლობს გვახთიებთ ჩვენ მეტი აღარ შეგვიძლია და გამუაგდეთ კარში და ჯარხანაში გადუარია. ანდა მითხარი ერთი რათ მინდა! მე გეტყვი შენდა ძველი დროია. აზნაურობა მაშვინ ვარგოდა მიწა გვქონდა და მამული, შინაყმა და მხლებელი. ერთ ჭანგია მიმინოს რომ მუუყვანდი გურიელს, გინდა დადიანს, ძუა გამოსკვნილ ლაფშაზე გადამაჟდენდა. თვარა ახლა ამის ძახილი ყბაის ქცევაა. ყოლიფერი დაგვშპა ხელიდგან. და ამ სულსაც, რომ თქვენდა არ იყოს საჭირო ჩვენი სიცოცხლე, რახანია ამოგვძურწვიდით. იგი კი არა, მე თუ დამიჯერებთ იგი ვინცხა ფაშააო თუ მარშალიაო, ტყულათაი აბუნდრუკებთ, თვარა შაურის ფასზე აფერზე გვჭირია. კაცი მას აღარ კითხავს ბალი ათშაურათააო; ბაშფორთს პოლიცია გვაძლევს და მოწმობას, გადახთიება იგენს შეუძლია და გაკოჭვა და სხვაი რავა საკოცნელათ ჩემი ჯუფანიეი მყავს. ასეა აგი და ღმერთი შენი შვილის გვირგვინზე გაკოცნიებს, აწი მაინც დაგვეთხუე, თვარა როიცხა გავცოფთებით მერე იმ შენ ქუთაისსაც ზღვათ მოგაჩვენებთ და ამ გატყავებულ აზნაურობასაც გადაგაგლეჯთ თავზე.

გწერს შენი დაჯაბნებული ძმა გოგიტა გაფხეკილაძე.

**შხანკოლა.**



## შ ა რ ა დ ა.

---

თუ არ იქნება საწყენი
ერთს გაგაცინებთ გულითა:
მოკლე შარადას, მოგითხრობთ
გადაკრულ გადმოკრულითა.
სამტროთ არ მინდა, ნურცა თქვენ
შემხედავთ თვალით მტრულითა.
„დო-რე-მი-ფაა“ — საჭირო,
თქვენც გადაშალეთ ნოტები,
(სიმღერის უცოდინარნი
არიან შესაცოდები!)
და ერთ იმათგანს, აქ არ თქმულს
ჩასჭიდეთ ხელი, ქეჩოში.
(დაბლიდან როცა დაიწყებთ,
ის ამოხტება ერდოში!)
მას ქორონიკონს მიადგამთ
„სამასის“ გამომსახველსა
(თავში რომ ცხოველს განძი აქვს,
ის იწყებს იმის სახელსა!)
შემდგომად ამა ყოვლისა
კვალად „გალობა“ გვჭირია...

ყვავსა ხომ იცნობთ, ყვანჩალას?..
თუ მან გააღო პირია,
მაშინ აღმოხდეს ის „ჰანგი“
(ჩვენს მწერლობაში ხშირია)
რომელიც შარადისათვის
ეგზომ უცილოდ გვჭირია.
დაუკავშირეთ ერთმანეთს
რაც უკვე შეგვიძენია
და ფსევდონიმი გამოვა
„დროების“ დამამშვენია,
ყვავისა ჰანგსა გვაგონებს
მის კალამ მონადენია,
ლამის ტირილში დაჰლიოს
ცხოვრების თვისის დღენია ..
(მძიმეა მომავლის ტანჯვით
მოკიდებული გენია!)
მეტი რომ არ ვთქვათ, ნამდვილი
ქართველთა დიოგენია!
ვინაც ვერ ახსნა აქამდე,
საჯაროთ შესარცხვენია.

კოლო.



## ორი ეშმაკი.

**მეორე.** გაიგე?

**პირ.** რა ამბავია?

**მეორე.** როგორ თუ რა ამბავია, მთელი ქვეყანა ამაზე ლაპარაკობს,—პრემიერ მინისტრს მიუწვევია მილიუკოვი და უთქვამს: ახლა გავიგე ძმაო, რომ საჭიროა რეფორმები და პასუხის მგებელი სამინისტროო.

**პირ.** რას ამბობ კაცო?!!

**მეორე.** წადი და ეხლავე შეადგინე ახალი საარჩევნო კანონი. ახალი სამინისტრო და ახალი დუმა უნდა მოვიწვიოთო.

**პირ.** ეგრე იცის გაზაფხულმა აი! ყველაფერი ტყავს იცვლის თავის დროზე.

**მეორე.** მემარჯვენე დეპუტატები, როგორც ახალი წეს წყობილების მოწინააღმდეგენი, დაუჭერიათ და სამართალში აძლევენ

**პირ.** სამხედრო სამართალში?

**მეორე** რის სამხედრო სამართალი, რას ამბობ! სამართალი ერთი შემოუღიათ ყველასათვის, რომელიც ასამართლებს და არა მარტო სჯის. პურიშკევიჩთან ციხის საკანში აზეფი და გარტინგი ჩაუსვამთ.

**პირ.** ალბათ დაჭამენ ერთმანეთს, იმას ხომ საშინლათ ეჯავრება ებრაელები.

**მეორე.** პირიქით!. პურიშკევიჩს უთქვამს. ებრაელები მოწინავე ხალხია, ამდენი მეცნიერები ყავთ ამდენი ტანჯვა ვაება გამოუვლიათ ბარბაროსთა ბრბოებისაგან და ჩვენ უნდა ვეცადოთ ამ ხალხის მშვიდობიან ცხოვრებას არავინ არღვევდესო.

**პირ.** კაცო რა მოხდა ასეთი, სწორეთ ვერ გამიგია?!

**მეორე.** ტიმოშკინი ამერიკაში წასულა ლექციების საკითხავათ. ჯერ-ჯერობით ლონდონში შეივლის და იქაურ საზოგადოებას გააცნობს რუსეთის კონსტიტუციის დედა-აზრს პიროვნების ხელშეუხებლობისა და ერთა თანასწორობის შესახებ

**პირ.** მაშ მოელება ბოლო ამდენ ღანჯვა-წამებას...

**მეორე.** ნუ თუ ამდენ ხანს ამის შესახებ არაფერი გაგიგია? რუსეთის შეერთებულ თავად აზნაურობას ერთხმათ გადაუწყვეტია მოსპოს ყოველგვარი წოდებრივი განსხვავება და ქონებრივი უთანასწორობა რუსეთის მცხოვრებთა შორის.

**პირ.** კარგი ერთი, ნუ გადამრიე, თუ ღმერთი გწამს!

**მეორე** გრაფებსა და ბარონებს უკვე გაუნაწილებიათ თავიანთ მამულები უმიწაწყლო გლეხებისათვის და თითონაც მშვიდობიანათ შესდგომიან მუშაობას.

**პირ.** რასაკვირველია, ყველა თავისი შრომით უნდა სარგებლობდეს...

**მეორე** სრული თავისუფლება რწმენისა, წერისა, კრებისა .. ერთი სიტყვით გასაოცარი ამბებია, გასაოცარი!

**პირ.** ეს რაღაც მეორეთ მოსვლის ნიშანია სწორეთ.

**მეორე** წარმოიდგინე, მეორეთ ალარც ბატაილი დაბრუნდება თურმე, ბელგიიდან. ტრამვაის საზოგადოების მთავარ გამგეობას ბ-ნი გისის თხოვნისამებრ დაუდგენია: მუშებს ისევ აღუდგინოს ძველი, 1905 წლის, პირობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ზირ.** მადლობა ღმერთს, ესეც ძლიერ სასიამოვნოა სწორეთ!

**მეორე** ჯერ ეგ რა არის! თფილისის უნივერსიტეტი უკვე მზათ არის თურმე და მომავალ შემოდგომაზე მოქმედებას დაიწყებს. — სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ამის შესახებ ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდა სათავად-აზნაურო გიმნაზიის პედაგოგებთან.

**ზირ.** ეს რაღა საჭირო იყო?

**მეორე** ქართული ენის შესახებ რა თქმა უნდა. ყველა ადგილობრივ სასწავლებლებში ქართულ ენას პირველი ადგილი ექნება დათმობილი. ეკლესიებშიაც, სასამართლოებშიაც .. ერთი სიტყვით ყველა დაწესებულებებში.

**ზირ.** კარგი და პატიოსანი, მაგრამ სად იშოვნიან ამდენ ქართულის მცოდნეს?

**მეორე** განა ცოტანი გვყვანან ენის მცოდნენი? ესეც რომ არ იყოს, ზოგს ფერეიდანიდან გამოვიწერთ, ზოგს სტაბოლიდან ..

**ზირ.** რაღაც არა მჯერა..

**მეორე** როგორ თუ არა გჯერა?! ბ-ნი «სიტყვა» ამის შესახებ იმედებით აღსავსე და აღტაცებულ წერილს სწერს ,,დროებაში''.

**ზირ.** ბატონი ,,სიტყვა''?! ,,სიტყვა'' სწერს აღფრთოვანებულსა და იმედით აღსავსე წერილს? ,,სიტყვა'' აღარა სტირის?! ეს შეუძლებელია ამას კი ველარ დავიჯერებ! ეს წარმოუდგენელია! ,,დროების'' ნაცარქექია არა სტიროდეს, ეს ხომ შეუძლებელია, შეუძლებელი, და ათასჯერ შეუძლებელი!

**მეორე** მაშ არა გჯერა?

**ზირ.** ყველაფერს დავიჯერებ, ამას კი ვერა, ვერა და ვერა.

**მეორე** მაშ მომილოცავს შენთვის პირველი აპრილი!

**ზირ.** აჰააა, პირველი აპრილი? ძლივს არ მიგიხვთი!

---

## ხმა სოხუმიდან.

—

სოხუმში მოდი, ეშმაკო,
ჯოჯოხეთს დაგახვედრებო:
ნათლისღების ამბავსა
ამ ჟამად მოგახსენებო:
გვაზავას ცოლსა ,,პრისტანზე''
,,ზონტიკით'' დაგახვედრებო,
გვათუას ცოლსა გალახულს
თხოვნითა შეგავედრებო.
სოხუმის მოქალაქებს
მოწმებათ ვასახელებო.

—

იქიდან გადაგატარებ
ჩვენს ტურფა ყავახანაში,
შეხედავ შენის თვალებით
როგორ გახშირდა თამაში,
(უმეტესობა, ამბობენ,
ნოქრებიაო ამაში)

—

არ გვყავდა ფაიტონები
გვედირსა ავტომობილი,
ნ.....მ გამოიწერა
მორთული გამოწყობილი,
და დასრიალებს, დაყირის,
როგორც ქუჩაში შობილი,
ყველას ყვლეფს, არვინ დაინდო
მოყვარე არცა ძმობილი.

—

მეტად გახშირდა ,,ბანკროტი''
ძველ ძველი მოვაჭრებისა...
მიდის და მიდის, დღე დღეზე
,,პროტესტი'' ვექსილებისა,
იაფათ ყიდვა დაიწყეს
დარჩენილ საქონლებისა,
თვეში ხუთისა მოხდება
გაშობა ნოქარებისა,
აწ მეტი ველარ შევიძელ
მშვიდობით, ღამენებისა.

**სოხუმელი ჭრიჭინა.**

---

# მოციქულთა სწორი.

(თარგმანი)

I

ერთ მშვენიერ დილას, როცა გემრიელ საუზმეს შევექცეოდი, დერეფანში ფეხის ხმა შემომესმა. უმალვე ოთახის კარები გაიღო და ჩემთან შემოიჭრა, სიხარულითა და ჩემი სიყვარულით აღფრთოვანებული სახე გაწითლებული ბიძა ჩემი.

— მე შენთან გამოვსწიე, ჩემო ძვირფასო; მინდა გავიგო, როგორა ცხოვრობთ აქ, ჩემი ძმისწულები, ჩემი მემკვიდრეები... ოჰო, ჰოოო!

სიყვარულით გადამეხვია, გადამკოცნა... გულმოდგინეთ აათვალიერ-ჩაათვალიერა სასადილო სტოლი და შემკრთალმა უკან დაიხია.

— რა ამბავია, რა დაგემართა, ძია?

ბიძა ჩემმა წარბი შეიჭმუხნა და ხრინწიანის ხმით ჩაილაპარაკა!

— მკვლელი!

— ვინ არის მკვლელი, ძია? სად არის მკვლელი?

— შენა ხარ მკვლელი, შენა! მაშ რა არის ეგა? რა არის აი ეს...

— როგორ თუ რა, მწვადის ნაჭერია... — ხომ არ ინებებთ ბიძა ჩემო? მიირთვით.

— რაო? მე ვჭამო ტანჯვა წვალებაში მოკლული ცხოველის ხორცი?! როგორ, მე გავხდე თანამონაწილე და მფარველი მკვლელობისა? უმჯობესია უმალ მე თითონ შემჭამონ!

— თქვენ, ძვირფასო ძია, ვეგეტარიანთა მიმდევარი ხომ არა ხართ?

ბიძამ თანხმობის ნიშნათ თავი დამიქნია, სკამზე ჩამოჯდა და წარმოსთქვა:

— იმედი მაქვს შენც ჩქარა გახდები ვეგეტარიანი, დიახ, სრული იმედი მაქვს ამისი.

— რასაკვირველია, ძვირფასო ძია, თუ თქვენ ეგ საჭიროთ მიგაჩნიათ, მე დღეიდანვე, თქვენი თქმისა არ იყოს, ვანებებ თავს მკვლელობას! მართლაც რა საზიზღრობაა კაცი მკვლელობით იკვებებოდე, სხვას ტკივილებს აყენებდე, ძალადობას ხმარობდე... მაგრამ ეს ნაჭერი მწვადისა შემიძლია ვჭამო, ა?

— არა! გადაჭრით წარმოსთქვა ბიძა ჩემმა, და თეფში ხელიდან გამომაცალა.—შენ ერთი ნაჭერიც არ უნდა იგემო ამის შემდეგ. უნდა გადაჭრითა და ვაჟკაცურად უარყო ეგ საზიზღრობა!

— ძია, ეგ ცხოველი ხომ მაინც მკვდარია და მისი აღდგენა აღარაფერს შეუძლია? მაგას რომ შეეძლოს განძრევა, გაცოცხლება, ადგომა და მწვანე საბალახოზე წასვლა, მე რასაკვირველია ხელს აღარ ვახლებდი... მაგრამ მას ხომ ფეხებიც არა აქვს .. არა მგონია, რომ ეგ საწყალი ახლა რასმე გრძნობდეს...

— საქმე ხომ მაგაში არ არის! რა თქმა უნდა (ბიძაჩემის თვალს ორი ობოლი ცრემლი მოწყდა) ეგ საბრალო ახლა აღარაფერსა გრძნობს... ის მოკლეს ბოროტმა და მტარვალმა ადამიანებმა... მაგრამ შენ,—შენ ამიერიდან უნდა იძინებდე წმინდა სინიდისით, რომ მონაწილეობა არ მიგიღია ამ საზარელ მოქმედებაში.

დღევანდლამდე კი სულ სხვაგვარათ მიდიოდა ჩემი საქმე. მე მშვიდობიანათ მხოლოდ მაშინ მეძინა, როცა ვახშამზე საკმარისათ მოვსპობდი ღვთის შემოქმედებათა ულუფას, ხოლო ცარიელ კუჭზე ყოველთვის უძილობასა და მოუსვენრობას ვგრძნობდი.

მაგრამ ციმბირიდან მოსული ბიძის ხათრი დიდი იყო და მეც გულმტკივნეულათ ჩავილაპარაკე:

— მართლაც, რომ დაუფიქრდე კაცი!.. მე სისხლის მწოველი, მკვლელი, განმანადგურებელი ვყოფილვარ ღვთის ქმნილებათა. არა! არა! დღეიდან ვიწყებ ახალსა და ბედნიერ ცხოვრებას!

ბიძამ სიყვარულით მაკოცა შუბლში და ალერსიანათ მითხრა!

— აი თითონ ნახავ, თუ რა მშვენიერ სადილს შევუკვეთ შენს მზარეულს. ერთ საათში ყველაფერი მზათ იქნება და ჩვენც ჩინებულათ ვისადილებთ.

## II

სუფრაზე მოხარშული კვერცხები, ახალი კარაქი, დამარული სოკოები და პური ეწყო.

— ჩვენ, ჩემო ძვირფასო, ჩინებულათ ვისადილებთ, ალერსიანათ მელაპარაკებოდა ბიძა ჩემი; მე მგელივითა მშია.

მაინ აიღო კვერცხი და კოვზი მოიმარჯვა.

— ბიძა ჩემო! აღშფოთებით შევსძახე მე.—ნუ თუ თქვენ სჭამთ მაგას!?

— ვჭამ რასაკვირველია! რაო? აქ ხომ მე არავის არა ვკლავ?..

— რასა ბრძანებთ, ძია! ჩემი შეხედულობით ესეც მკვლელობაა, შეუბრალებელი მკვლელობა. ხომ იცით ამ კვერცხიდან გამოიჩეკებოდა მშვენიერი, ნორჩი წიწილა, თქვენ კი მოჰკალით და სპობთ იმას.

ბიძას თვალები ცრემლით აევსო. იმან ყურადღებით გადმომხედა მე, შემდეგ წამოიჭრა და სიყვარულით ჩამიკრა გულში.

— მაპატიე, მაპატიე შვილო! შენ მართალი ხარ... შენ ჩემზე გაცილებით მაღლა დგეხარ...

ჩვენ ერთმანეთი გადავკოცნეთ და შემდეგ აღელვებულნი მოვუსხედით სუფრას. ბიძამ შეატრიალ-შემოატრიალა ხელში კვერცხი და ოდნავ მწუხარე კილოთი წარმოსთქვა:

— თუმცალა ეს უკვე მოხარშულია... წიწილა აქედან აღარ გამოიჩეკება...

— ბიძა ჩემო! საქმე ხომ წიწილა არ არის, საქმე ჩვენი სინდისის სიწმინდეა!

— შენ კვალად სიმართლეს ამბობ! ათასჯერ ჩემზე მართალი ხარ, მაგრამ მაპატიე მოხუცს; მაპატიე!.

მზარეულმა კომბოსტოს წვნიანი საჭმელი შემოიტანა.

— აბა თეფში მოიტა, სიყვარულით მითხრა ბიძამ, მე თითონ დაგისხამ წვენსა.

მე მწუხარებით გავიქნიე თავი.

— არ მინდა მე ეს წვნიანი.

— რა ამბავია? შეშფოთებით შემეკითხა ბიძა, რატომ არ გინდა?

— ნება მიბოძე, ძვირფასო ძია, პატარა ამბავი გიამბოთ: ერთს მშვენიერსა და მზის სხივებით გაბრწყინებულ ბოსტანში, ლაღათ და თავისუფლათ იზრდებოდა მწვანე კომბოსტო. თავისი ნორჩი ფოთლებით მხიარულათ მიიწევდა ის ნათელი მზისაკენ და სიამოვნებით ბანაობდა მნათობის ბრწყინვალე სხივთა მორევში. ცხოვრობდა და ფიქრობდა ის უბედური, რომ აღსასრული არ ექნება მის ნეტარებას, მის უდარდელ, მშვიდსა და ლაღ ცხოვრებას. მაგრამ .. მაგრამ მოვიდნენ ბოროტნი მებოსტნენი, დაუზოგველათ ამოგლიჯეს ის მიწიდან, მწარე, აუტანელი სატანჯველი მიაყენეს მას და წაიღეს შორს, შორს სადღაც ქალაქში. აქ კი, შეუბრალებელმა მზარეულებმა ჩააგდეს ის მდუღარე წყალში და იქ აუწერელ ტანჯვა-წვალებაში მოუსპეს სიცოცხლე და აგრძნობინეს, თუ რა ბოროტი ვინმეა ადამიანი. არა, ბიძა ჩემო, არ შემიძლია მე მივეკარო ამ კომბოსტოს, არა და არა!

შეშფოთებული თვალი ამავლო ბიძა ჩემმა.

— შენ ასე გგონია... შენა ფიქრობ, რომ ეს კომბოსტო გრძნობს რასმე?

— გრძნობდა! თვალ ცრემლიანმა წავიჩურჩულე, გრძნობდა! ახლა რასაკვირველია აღარაფერსა გრძნობს... მაგრამ მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ყოველი მცენარეული ცოცხალი არსებაა და თუ მას ლაპარაკი არ შეუძლია, ეს არ ნიშნავს ტკივილსა და შეწუხებასაც არა გრძნობდეს. ოჰ, რა სასტიკი და შეუბრალებელი ვიყავ წინეთ! რამდენი კიტრი მომიკლავს მე ჩემს ხანმოკლე ცხოვრებაში!

ბიძა ჩემმა ჩუმათ დასდო კოვზი და წვნიანი თეფშიც განზე გადასდგა.

— მე მრცხვენია შენი, დაიწყო მან მკრთოლვარე ხმით.—მე ეხლა ვგრძნობ, თუ რა საბრალო

ვიყავ ჩემი ვეგეტარიანული მოძღვრებით! ეხლა შენ ამიხილე თვალები, შენ მიჩვენე სწორი გზა.

ჩვენ კარგა ხანს ვიჯექით თავჩაღუნულნი და მწუხარენი.

— კარგი, მაგრამ .. ჩაილაპარაკ ბიძა ჩემმა, — მაშ რაღათი უნდა გამოვიკვებოთ თავი?

— რასაკვირველია მხოლოდ რძით. ეს არავის არავითარ მწუხარებასა და ტკივილებს არ აყენებს. პური მაგალითად თავთავებისაგან მზადდება და ამიტომაც სისასტიკე იქნებოდა მისი მოხმარა. პურის მაგივრათ შეგვიძლია ხმელი, ჩამოცვენილი ფოთლები ვიხმაროთ.

ბიძა ჩემმა მწარეთ ამოიხვნეშა.

— მე კი მზარეულს სატაცური შევუკვეთე...

— ბიძა ჩემო! ნება მიბოძეთ პატარა ამბავი გიამბოთ: ერთ მშვენიერსა და მზის სხივებით გაბრწყინვებულ ბოსტანში, ლაღათ და თავისუფლათ იზრდებოდა წითელი სატაცური! თავისი ნორჩი ღეროთი მხიარულათ მიისწრაფოდა ის ნათელი მზისაკენ და სიამოვნებით ბანაობდა...

— ვიცი, ვიცი. . მერმე მოვიდენ ბოროტი მებოსტნენი და ამოგლიჯეს ის .. კარგი, რა გაეწყობა, დავლიოთ მხოლოდ რძე. ხმელი ფოთლების მოგროვებამდე შეიძლება პურის ნატეხი .. ის ხომ მკვდარია...

— ძია! სასტიკათ და გადაწყვეტილათ შევსძახე მე.—სირცხვილია! გამოიჩინეთ მეტი სიმტკიცე და ვაჟკაცობა. განა საქმე პურში ხომ არ არის, საქმე ჩვენი სინდისის სიწმინდე სიფაქიზეშია.

## Ш

ის ნელ-ნელა ყლაპავდა რძესა და განცვიფრებული თვალებით შემომცქეროდა მე. მე კი ვქადაგებდი:

— მე დიდათ გმადლობთ, ძია, ულრმესად გმადლობთ. თქვენ მე ამიხილეთ თვალი და დამანახეთ ახალი ქვეყანა, ახალი ცხოვრება. ამის შემდეგ მე მთელ ჩემს სიცოცხლეში ფეხშიშველი ვივლი...

— ფეხშიშველი? რატომ, რისთვის მეგობარო, რისთვის?

— ბიძა ჩემო! თქვენ ვგონებ გავიწყდებათ, რომ ფეხსაცმელებს ვერაგულათ მოკლულ პირუტყვთა ტყავებისაგან ამზადებენ. აღარ მინდა მე ვიყო მფარველი და თანამონაწილე საზიზღარ მკვლელობათა.

— შენ შეგიძლია... მოფიქრებით წაიბუტბუტა ბიძა ჩემმა —ფეხსაცმელი ხისაგან გაიკეთო. ფრანგის გლეხები სწორეთ ეგრე შვებიან.

— ძია! ნება მიბოძეთ გიამბო პატარა ამბავი: მშვიდსა და უდაბურ ტყეში, ლაღათ და მშვიდათ ხარობდა მცენარე .. ის თავისი...

— ჰო, ჰო, ვიცი... ვიცი, გამაწყვეტინა ბიძამ.—შემდეგ ის მოსჭრეს ბოროტმა ადამიანებმა. ჩემო ძვირფასო! მაშ რაღა უნდა ვქნათ. აი შენს ოთახს, ხომ ხედავ, ხის იატაკი უგია.

მე წყნარათ ჩავიცინე.

— დიახ ბიძა ჩემო, მაგრამ როცა მეორეთ მეწვევით ეს აღარ იქნება... იმ დროისათვის მე გავამზადებინებ შუშის იატაკს...

— რა...ტომ შუშისას?

— იმიტომ, რომ შუშას არაფერი ეტკინება, ის არც მცენარაე, არც ცხოველი. სკამები და საწოლი რკინის მექნება, საგებ-სახურავი კი წვრილი მავთულებისაგან მოქსოვილი.

— ლები .. ბალიში? დამფრთხალი კილოთი შემეკითხა ბიძა. იმისთვის ხომ ბამბაა საჭირო?

— ძია! ბამბა ხომ მცენარეა? ნება მიბოძეთ გიამბო ერთი პატარა ამბავი: ერთს მშვ..

— ვიცი, ვიცი . გამაწყვეტინა ბიძამ. მერმე მოვიდენ ბოროტი ადამიანები და მოსწყვიტეს.

ის უზომოდ აღელვებული წამოდგა სკამიდან. თვალები სიმშილისაგან უბრწყინავდენ.

— შეიძლება თქვენ ბაღში გასეირნება გსურთ? შევეკითხე მე. მე მცირეოდენი საქმე მაქვს და თქვენ, ძვირფასო ძია, შეგიძლიათ გაისეირნოთ.

— კარგი, ძალიან კარგი... აღარ დაგიშლი. . წავალ გავისეირნებ.

— მაგრამ გახსოვდეთ, სერიოზულათ უთხარ მე, ეს ერთად-ერთი ჩემი თხოვნა: ბალახებზე ნუ ივლით; მართალია ის თქვენ არაფერს არ გეტყვის, მაგრამ მას ეტკინება, მძიმე სატანჯველს გამოივლის... ის გაიჭყლიტება და მოკვდება თქვენ ფეხ ქვეშ.

ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ და მხურვალეთ გამოვეთხოვეთ; შემდეგ კი დავსძინე:

— ძია, გახსოვდეთ, გენაცვალე, გზაზედ სიარულის დროს ჭიანჭველას, ან კალიას ფეხი არ დაადგათ; მე გული მიცემს, მეშინია, რომელიმე მათგანი მოურიდებლობით არ გასჭყლიტოთ.

— კარგი, კარგი, ჩემო ძვირფასო! შენ წმინდა ანგელოზის გული გაქვს...

ბიძამ პატივისცემითა და მოკრძალებით შემომხედა. გულში ალბათ თითონაც არ იყო მადლიერი რომ გააღვიძა ჩემში ეს სათუთი გრძნობა ციური ანგელოზისა.

როცა ის წავიდა, მე გამოვალაგე შკაფიდან ღვინო, ცივი კატლეტი, მწვადის ნაჭრები და პური. მივუჯექი ფანჯარასა და არხეინათ შევუდექი ღვთის ქმნილებათა განადგურებას. თანაც ვსტკბებოდი ბიძა ჩემის ცქერით.

შიმშილისაგან მოქანცული, ის მძიმეთ და მორიდებით დააბიჯებდა ბაღის გზებზე წამ და უწუმ იკუნცხებოდა, ათვალიერებდა გზას, რომ რომელიმე გაუფრთხილებელი ჭიანჭველა ან სხვა მწერი ფეხქვეშ არ მოჰყოლოდა. ერთხელ მან უნებურათ მოსწყვიტა ფოთოლი, მიიტანა პირთან, მაგრამ მყისვე გამოერკვა, ტანში გააჟრჟოლა და უკუაგდო.

აგრე გაატარა მან ჩემთან თოთხმეტი დღე სიკვდილამდე. ჩვენ დავდიოდით ფეხ-შიშველნი, ვსვამდით მარტო რძეს, გვეძინა ტიტველ რკინის ტახტებზე.

იმისი სიკვდილი სულაც არ იყო ჩემთვის მოულოდნელი და საკვირველი.

მე გამიკვირდა მხოლოდ ისა, რომ მისი განტევების შემდეგ მემკვიდრეობათ დამრჩა სულ რაღაც ათასიოდ მანეთი, ისიც გაქონილი და ძველი ქაღალდები.

**არკადი ავერჩენკო.**

# პატარა სცენა

—

| | |
|---|---|
| ბლუშაკოვი | პანსიონის მოიჯარადრე. |
| ტუიურევსკი, ფშუკუროვი, მაშლიკოვი, უსტვინოვიჩი, ზუბროტვინი, უბოჟკო | ,,აღმზრდელები.“ |
| გრიგორი ლავრენტიჩი, ბეჟან დავიდიჩი | დვორნიკები. |

მოქმედება სწარმოებს ქუთაისის მაზრის ერთ-ერთ საგუბერნიო ქალაქში.

სცენა წარმოადგენს დარბაზს, რომლის შუაგულ სდგას გრძელი, წითელ მაუდ ნაფენი, მაგიდა, რომელსაც უსხედან პანსიონის მოიჯარადრე და აღმზდელები. კარებთან საწყლათ ატუზულან მეეზოვენი, ანუ როგორც მათ ეძახიან «დვორნიკები».

## გამოსვლა I.

(ბლუშაკოვი და იგინივე)

**ბლუშაკოვი.** ბ-ნებო! ყველა თქვენგანი აქ დროებითი ბინადარია, დღეს არის ხვალ — აღარ იქნება, მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ჩვენი კავშირი და თანხმობით მოქმედება მაინც საჭირო და აუცილებელია.

**ტუიურევსკი.** სასიამოვნოა თქვენგან ამ სიტყვების გაგონება. ჩვენი „კავშირი“ დღემდე თქვენზე სრულიად სხვა აზრისა იყო. ნუ გვიწყენთ და გულახდილათ გეტყვით, რომ თქვენ სრულიად საიმედო“ არ გვეგონეთ.

**ბლუშ.** (აღელვებით და სიამოვნებით) გმადლობთ ბ-ნებო ასეთი გულახდილობისათვის გარწმუნებთ, რომ უმიზეზო არ იყო თქვენი ეჭვები. მართალია მე სულითა და გულით მუდამ ჭეშმარიტი“ მიმართულებისა ვიყავი, მაგრამ მეტი სიფრთხილით ვიქცეოდი ხომ მოგეხსენებათ ამ წინა წლებში საზოგადოების აზრს ყველანი ყურადღებით ეპყრობოდენ და ბევრნი თავის მოქმედებასაც უთანხმებდენ. რა ვუყოთ მერმე რომ დედა ქართველი მყავს და ხშირათ მიხდებოდა ქართველ პატრიოტებთან ერთად, იმ „ცოცხალ“ ენაზე ლაპარაკი, მღერა და კამათი? დღეს სულ სხვაა!

**ფშუკუროვი.** დღეს ჩვენ ძალას წარმოვადგენთ, საზოგადოების აზრი ფეხებზედაც აღარა გვკიდია.

**უსტვიჩ.** ფეხებზე კი არა და მხრებზეკი გვკიდია. დღეს ვინ არ იცის, რომ საზოგადოების საყვედური ჩვენდამი, ეს საუკეთესო საშვალებაა წარჩინება წარმატებისათვის.

**მაშლიკოვი.** ჭეშმარიტი თქმულებაა, სრული ჭეშმარიტი და მოსაზრებული.

**უბოჟკო.** დააა ს!

**ზუბ.** ჩვენ თუ ბავშვების ყაყანს ყურადღება მივაქციეთ, ცხადია მიზანს ავცდებით. ჩვენთვის საჭიროა ერთმანეთის მხარის დაჭერა.

**ფშუკუროვი.** ერთათ ძმებო, ერთათ ბრძოლა მედგარი!

**ბლუშ.** ბ-ნი უსტვინოვიჩის გმირობა უკვე ემცნო ფართე მასსას. გაგეგონებათ, რომ ის უკვე სახელმწიფო დუმის ტრიბუნიდანაც ეუწყა სრულიად რუსეთის აუდიტორიას. მოსალოდნელია ჩვენი ძვირფასი ამხანაგი მოგვაშორონ, მოგვწყვიტონ მკერდიდან და სადმე ახალი, უმეტეს პასუხ საგები თანამდებობა უბოძონ.

**უბოჟკო.** ხალხი ღელავსო ბ-ნებო, ხალხი სამაგიეროს გადახდას ეპირებაო. მოგეხსენებათ რაიმე ამის შესახებ თუ არა?

**ბლუშ.** აი ახლავ გავიგებთ. (მიმართავს დვორნიკებს) თქვენ ეი!

**დვორნიკები.** (კანკალით მიუახლოვდებიან) რა გნებავთ ბ-ნნო!

**ბლუშ.** რა იცით მოსალოდნელი აჯანყების შესახებ?

**ლავრენტიჩი.** (ახველებს) მეეე. . მე... მე ..

**ზუბ.** (გაცხარებით) თქვი, რაღას იღეჭები.

**უბოჟკო.** ბ-ნებო, ჩემის აზრით ეს ყმაწვილი პურიშკევიჩს დასცინის.

**ლავრ.** (შეშინებული) არა, ბატონო, მე... მე... მე მინახავს. რომ ჯგუფდებიან .. დიახ, ჯგუფდებიან..

**ბლუშ.** მერე?

**ლავრ.** მე .. მე... მერე... მერე ჯგუფდებიან და.. მერე ჯგუფდებიან...

**ტუიურ.** ეჰ, ცხოველო! ჯგუფდებიან, ჯგუფდებიან და ლაპარაკით არაფერს ლაპარაკობენ?

**ლავრ.** თქვენო აღმატე . ბუ...ბუ... ბულებავ! ჯგუფდებიან .. ჯგუფდებიან ..

**ბლუშ.** კარგი, წადი (მიდის და ისევ კარებს აეტუზება).

**ბლუშ.** შენ რაღას იტყვი? ა?

**დავიდიჩი.** მე? მე? მე .. (არაფერი უნახავს, მაგრამ არ შეიძლება არ ენახოს) ვნახე რომ.. რომ... ლაპარაკობდენ.

**უბოჟკო.** ხედავთ? მაშ ჯგუფდებიან და ლაპარაკობენ! ხედავთ!!!

**ბლუშაკოვი.** კარგი, წადი. ყოჩაღ!.. (დავიდიჩიც კვალად კარებს აეტუზება).

**ბლუშ.** ბატონებო მაშ შევუდგეთ საქმეს! სირცხვილი იქნებოდა ჩვენი ძვირფასი წარმომადგენლისათვის სამადლობელი დეპეშა არ გაგვეგზავნა. მაშ დავიწყოთ. აი თქვენ თითონ დასწერეთ ბ-ნო უსტვინოვიჩ!

(უსტვინოვიჩი ქაღალდსა და კალამს მოიმარჯვებს. ყველანი ცდილობენ, სამადლობელ დეპეშას თავისი წვლილი შესძინონ).

**ბლუშ.** სამშობლოს სიამაყევ და მზეო რუსეთისაო დეპუტატო თეოდორე ტიმოშკინო!

**ფშუკ.** ნი. ჩინებულია, ჩინებული! განაგრძეთ, განაგრძეთ!

**ბლუშ.** თქვენი გონიერების ფრთეთე ქვეშე მყოფელნი..

(უცებ ფანჯარას ლამურა მოეხლება. მთელი კრება დაფრთხება. ვინ სტოლს ქვეშ შეძვრება, ვინ შკაფს ამოეფარება. ზოგიერთნი იატაკზე გაიშხლართებიან და უბედურობის ასაცდენათ თავს მოიმკვდარუნებენ. მხოლოდ ორი დვორნიკი დგას საწყლათ

კარებთან და სამსახურიდან დათხოვის შიშით ადგილიდან ვერ იძვრიან)

დვთრნიკები ვაი ჩვენს ცოდვას! — ვაი ჩვენს უბედურებას!

**უჩინ-მაჩინი.**



## ეშმაკისადმი.

—

ჰოი, ეშმაკო, შენი ესავი
ამას გეწუკავ, გითრგნა ეს ავი;
რომ ჩემი მოძმე და ნათესავი
ბედის ხრიოკზე დანათესავი:
ბრმა ,,იეგოვას'' არა ჰმონებდეს
რომ მის დასტურებს არ იგონებდეს
უსაქმო სიტყვას არ იწონებდეს
ცდას ამ ქვეყნიურს გაიგონებდეს
არა ხიბლავდეს მძიმე ოცნება
გაუგებარი, ჰირი და ნება
ცისა და ქვეყნის იქითა მცნება
შეუძლებელის მიწდომის ნება.
ცას არ ელუგდეს თავის სათხოვარს
ედემ — სამოთხეს მუდმივ საცხოვარს
და დაუთმობდეს მკვდართა — მაცხოვარს
ამაო ცოცხალთ გლახას მათხოვარს.
ამ ჯოჯოხეთში დამყარდებოდეს
ხე ცხოვრებისას დამოყვრდებოდეს,
თუ ეს სტანჯავდეს ელოდებოდეს
ხსნასაც აქავე ელოდებოდეს.
აღარ უცდიდეს ,,იმ ქვეყნად'' ყველას
მტკნარი, უგილი სასოებითა
არა სწერავდეს სამუდმო შველას
გულში უნივთო ასოებითა . .
. . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . .
ამ წამებულმა ცხადში თუ ძილში
ცხრა მთას გადაღმა რათ მიაკვდესა
და სათ არ ეძებს ტანჯვის სასმელში
სილაღის დედას და მიაკვნესა.

***

ვიშ ჯოჯოხეთი ლაღი დიადი
მისი ნათელი მისი წყვდიადი,
ის ბოროტია და მით კეთილი
ყველა ყავს თვისად მას დაკვეთილი
მისგან იშვება ყველა ახალი
და უბრუნდება მუნ გაცვეთილი
...და კვლავ იშვება მისგან კეთილი
ის ყველა არის ყველაფრისაგან
სტუმარ უსაზღვრო მეშანდარია
...ჯერ წარმოშობა შეცდომისაგან
მერე მომფინა მე მან დარია
ჰოი ეშმა, ეშმა, ამ ჯოჯოხეთსა
რომ შემცნებდე თუნდ მეოთხედსა
მაშინ ეს გული შვება და სული
ვერრამ მოეკლოს ვერ აწამებდეს
გაზრდა გული განორჩდებოდეს
სევდას მოეკლას და აწამებდეს
ისმინე ეშმა ჩემი აჯები
რომ შეგეძინოს ბევრი ქაჯები
აკურთხე ესე სასიხობელი
და საიდუმლო მახარობელი
შენი მოძღვარი შენი ქადაგი,
რომ ეს ბოლოიწო ჩემი ბადაგი
სწორი გულის თქმის ნაწოვ ნადაგი,
ცოდვის ნაწნეხი ყველამ დალიოს
რომ მადლი აღარ დაიხვალიოს,
მალე იწამოს მალე გაიგოს,
რომ კაკანათი აღარ დაიგოს,
აქ არ იტანჯოს არ დაემონოს
და საფლავს იქით ყოფნა ეგონოს!!!
კვალათ გეწუკავს შენი ბეჩავი
შავი მთის შვილი ფშაველ-ხევსური
რომ შეისმინო და ყურად იღო
ეს ეპისტოლე ,,ეშმაკზევსური''!...

**ცინტარი.**



## მოკლე ლექსიკონი.

(**ხონის** რაითრისათვის).

**1 მან.** — ქანძარი, რომელსაც პროტესტი გამოუცხადა ხონის ინტელიგენციამ.

**ბილიარდის შარი.** — თავის ორათ გასახეთქი. მანქანა.

**კორესპონდენტი** — კაცი რომელსაც ხონში მრავალი დაეძებს, მაგრამ ვერ უპოვიათ.

**ლორი.**—კანტროლიორი, რომელიც ბაღის კარებში სდგას და ბილეთებს ითხოვს.

**ბატები.**—ფრინველები, რომლებმაც იჯარით აიღეს ხონის ქუჩები და ქალაქის ბაღი.

**მასკარადი.**—ხონური გულახდილობის გამოსაწვევი საშვალება.

**წყლის არხები.**—ტბები, სადაც ნავებით მოგზაურობენ.

**კუხელი დიაკონი.**—სიმონიძის ,,ნოტის" თანამგრძნობი. ისიც ქუდის ხახურის წინააღმდეგია.

**მღ. იონა ჩომახიძე.**—გულკეთილი ადამიანი, რომელიც ექიმბაშობით განთქმულია.

**პროლეტარი ეშმაკი.**



*
* *
(ნადსონით)

გულში ჩავიკალ სიმწარე, ტანჯვა,
იმედთა გროვა ძირს დავანარცხე
და კრუნჩხვით, კვნესით ამოვიგლიჯე
გულის სიღრმიდან მე შენი სახე..
მშვიდობით, წადი! აწ ჩვენ სხვანი ვართ. .
და თუ ოდესმე მოგონებანი
თვალ წინ დაგიდგეს წმიდა წარსულათ,—
უწოდე ბოდვა და ოცნებანი. .

—

ნუ მიიკარებ! თორემ ვინ იცის
იქნებ გეწვიოს სირცხვილი მწველი,
გული დაგეღრღნას მოსანანებლათ
და თვალებს მოსკდეს მდუღარეთ ცრემლი!

**ვ. მალაქიაშვილი.**



## ჭიათურის საეშმაკო დღიურიდან.

ვინ არ იცის, ჩემო ეშმაკო, თუ რა ძნელია შენი ,,მართახის" კორესპონდენტობა მარა თავი ვერ შემიმაგრებია და მაინც გიგზავნი ჩემს დღიურს, რაც მოგეწონოს შიგ ,,გამოაქეყნე", რაც არა და ბუხარში ატუციე თავი. ვიცი რაც დღე მომელის პროვინციაში: დაცინვა, ქუჩის ბიჭათ წოდება, მოცლილ მჯღაბნელათ მონათვლა, თუ საჭიროთ ნახეს წადანოს-წამუჯლუგუნებაც კი; მარა მიუხედავათ ყველა ამისა, მე მაინც ჩემი ეშმაკური სულის კვეთება მოსვენებას არ მაძლევს და ვით ხეთქილი გენიალობა სამოქმედოთ მიწვევს. ვინც რა უნდა თქვას! მე როგორც ეშმაკეულს хочу быть дерзкимъ, хочу быть смѣлымъ! მაშ, ჩვენი წერა და თქვენი სმენა.

38 **მარტი.** თეატრის მსახური პორფილე დღეს კიდევ სცენის მოყვარეთ დაეძებდა ქუჩებში. რეპეტიციაზე იწვევდა თითეულ მათგანს. ერთი მოეძებნა, მეორე დაკარგოდა, მეორე მოეძებნა, პირველი დაკარგოდა. ერთი სიტყვით ერთი რუსული თქმისა არ იყოს: хвостъ вытащитъ носъ завязнетъ, носъ вытащитъ хвостъ завязнетъ. ახია მაზე! რას აწვალებს ამ ხალხს! განა ესაა პიროვნების თავისუფლება? აი, აი, რო ვერ შევიგნია! აქეთოს ვისაც რა უნდა, მაშინ მოვიდეს რეპეტიციაზე, როცა ენებოს, სცენაზედაც ისა სთქვას რაც უნდოდეს!.. მიკვირს ღმერთმანი, რო ასეთი ანბანური ჭეშმარიტება ვერ შეუგნიათ და სცენის მოყვარეთ ასე სჯიან.

3 **აპრილი** დღეს ადგილობრივმა საქალაქო სასწავლებელმა ფოსტით მიიღო მზრუნველის ბრძანებით ნაყიდი ხატები და ანტიმინსი. რელიგიურმა ექსტამა იფეთქა ჩემს არსებაში, განსაკუთრებით მეამა ანტიმისის შეძენა: ვინ იცის, იქნებ ჯვარსაწერათ გამომადგესთქვა, მარა რა მოვიგონე, რომ ამ ბოლო დროს რაღაც ,,ნეუდაჩნიკობა" დამჩემდა და თანაც როგორც ეშმაკის კერძს ანგელოზთა სამფლობელოში არ შემიშვებდნენ, გული ამევსო სევდით და ჭმუნვით. საქალაქო სასწავლებელი კი ალტაცებაშია! Вотъ ей Богу! ღვთის მოყვარე ხალხი!

4 **აპრილი.** ვატყობ, რომ ხვალ დილით ცხინკვა ამიტყდება. ნეტავი ალექსანდრე გამრეკელი მაინც არ გაიგონებდეს, თვარა ,ღვთის და ბატონის წყალობას" ძახილს ვერ აუვა.

(დანარჩენი შემდეგისათვის)

**ქვეშქვეშა ეშმაკი.**



# სრულიად რუსეთის სამრეკლო.



გუჩკოვი ზარების რეკასა სწავლობს.

სახელმწიფო დუმაში, მარცხნივ თავმჯდომარის სავარძელისა, განზრახულია ალმართონ სამრეკლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სანაგვე პოეტები.

(ბიბლიოგრაფიის მაგიერი)

## ლექსები

**ნატალია რ. გიგაურისა.**

,,მზის ჩასვენებასაც‘‘ ღრმა აზრი და მწუხარე გრძნობა გამოუწვევია ქუთათურ პოეტესას გულში:

„თითქო გულს გიკლავს, არა გსურს დარჩეს
ცა ფირუზოვან—სიბნელეშია;
შენს მაგიერად—კწადის გულუხვად
მთვარე შუქს სცემდეს—თუნდ ღრუბელშია!“

აი ხომ ხედავთ პოეზიას! მაგრამ საქმე მარტო პოეზია კი არ არის, საქმე აზრია! და პოეტესას აზრით მნათობნი იმისთვის აფრქვევენ თურმე ნათელს,

„რომ არე მარე ტურფად შემკული,
არ გაეხვიოს უკუნეთშია;
მასში მცხოვრები ადამიანი
არ შთაინთქმოდეს ლაფ-მორევშია!“

ვინც ქალაქ ქუთაისსა და მისი ქუჩების „ლაფ-მორევებს“ არ იცნობს, იმისთვის მართლაც ძნელი მისაწვდომია, თუ რა ნიადაგზე შეჰქმნა პოეტის გონებამ ეგზომ საუცხოვო აზრი, მაგრამ არავის არ გაუკვირდება ეს, ვინც ქუთაისის ,,ლაფ-მორევისაგან‘‘ ცოტა ახლო სდგას. მოგეხსენებათ ანდაზა: ,,შიში შეიქმს სიყვარულსაო.‘‘

აგრეთვე ულრმესი პოეზიითაა გამსჭვალული ქ-ნ გიგაურის ლექსი: **„მდაბიო მოხუცის გოდება.“** სხვათა შორის, აქ პოეტესა ალმა სფერებიდან დაღმა ჩამოდის და ეხება მოქალაქეობრივ ტემებს:

„საითაც კი გაიხედავთ
ისმის „პროლეტარიატი,“
გეფიცებით, ბევრს არც ესმის
რა არს პროლეტარიატი!“

ამ კუპლეტში მხოლოდ მდიდარი რითმაა საყურადღებო, სხვა არაფერი.

მაგრამ მოდა მოდა არი,
ამას—დეე, არცა ვჩივი;
მაგრამ ბევრის უგვანობას
რა ვქნა, რომ მე—ვერ ვეჩვევი.“

რასაკვირველია!.. ქართული ანდაზისა არ იყოს, „კაცია და გუნება“... ზოგიერთი უსაქმო მანდილოსანი სხვა „უგვანობას“ ვერ ეჩვევა, გარდა უგვანო ანუ უკეთ ვსთქვათ, საგვანო ლექსების წერისა.

შემდგომად ამ ორი ტაეპისა „პროლეტარი‘‘ მუშტებითა და ტყვიებით, „აპროლეტარებს“ მდიდრებსა და ღარიბებს, როცა ამას უსაყვედურებენ ის, ,,პროლეტარი‘‘ კიდევაც ცხარობს:

„ძარცვას ახლა ვინ დამიშლის
ვინ გამკიცხავს, დიდედაო!
გაიღვიძე, გამოფხიზლდი
ახალი დრო გვიდგებაო!“
აე სიტყვებით გატრიალდა
პირ იქითაც გარისხული!
აღარ ვიცი რა ვიფიქრო,
ნეტა ჭკუა შემრჩეს სრული!“

„ფიქრი‘‘ ხელიდან წასულ ჭკუას ვერარაფერს უშველის, მაგრამ სასიამოვნო ისაა, რომ მგოსანმა ქალმა ეს ერთი ადგილი მაინც სიმართლითა და მიუდგომლობით აღნიშნა. თუ რომ მართლა ,,ჭკუა შერჩენოდა სრული,‘‘ განა არ დაუფიქრდებოდა თავისს მოქმედებას და განა ასე თავმომწონეთ სხვას ,,მძარცველებს‘‘ უწოდებდა? რასაკვირველია არა და აი რატომ არა.

როცა ასეთ უშინაარსო, უსარგებლო და უგვანო ,,ლექსთა‘‘ კრებულს, თუნდაც ,,საქველმოქმედო მიზნით‘‘ მხარ-გამაგრებულს, ბაზარზე გასასყიდათ უშვებს და საწყალი მკითხველის ჯიბიდან აბაზი ამოაქვს, ნუ თუ ესეც ,,გამაპროლეტარებელი‘‘, მოქმედება არ არის? ვინც ამ უხეირო წიგნაკს იყიდის, განა სულყველა გაძარცულ მოტყუებულათ არ ჩასთვლის თავს? ჰაი, ჰაი რომ ჩასთვლის, მაგრამ ამაზე დასაფიქრებლათ მგოსანს, მისივე სიტყვებით რომ ვსთქვათ ,,ნეტა, ჭკუა უნდა შერჩენოდა სრული.‘‘

ზემორე მოყვანილი აზრის დასასურათებლათ სავსებით მოვიყვან ერთს, უკაცრავათ პასუხია, ლექსს.

**(ერთ ნაცნობის ვითომც და მეგობარს.)**

„ლექსი მინდა დაგიწერო,
მაგრამ რა ვსთქვა—არ ვიცი!
შენისთანა უშმერთო კაცი
რის ღირსია—თვით იცი!
შეგაქო, თუ დაგამცირო
ორივ—შენთვის მეტია,
არა ღირს ხარ შენ არც ერთის
მხეცი შენზე მეტია!
მაშ, გავჩუმდე, ნურას ვიტყვი,
შენთვის ესეც მეტია;
სამი ტაეპი გიძღვენი
ესეც კარგი ბედია!“

,,ერთ ნაცნობის ვითომც-და მეგობრისათვის‘‘ მართლაც კარგი ბედია, რომ პატივცემულმა მგოსანმა ქალმა სამი ტმეპის მეტი არ გაიმეტა, მაგრამ წიგნაკის მყიდველისათვის არა თუ მეტია, მეტის მეტიც არის ასეთი მოტყუილება. მაგრამ რაც იყო, იყო, ახლა ისევ ,,პოეზიას‘‘ დავუბრუნდეთ.

სანაგვე პოეტებს ჩვეულებათა აქვთ ცოტა რამ საფარი თითონვე აიგონ თავისი ხელით. ნატალია გიგაურიც სწერს. ,,სამწერლო ასპარეზზე ახლად გამოსულებისადმი‘‘:

„თუ ნიჭი გამოიჩინე
და პირველად დასწერე რამ,
თუნდ „სრულად“ კარგი არ იყვეს
ხელი არ უნდა გკრას ყველამ.“

ამის მიხედვით მეც ცოტა ეჭვი შემეპარა: ეს პირველი ნაწერი არ იყვეს მეთქი და ტყვილათ ხელი არ ვკრა ნიჭს მეთქი. შევამოწმე და გამოირკვა: უადრესი ლექსი ამ წიგნაკისა დაწერილია 1902 წელს, ხოლო უგვიანესი 1908 წელს. აქედან სჩანს, რომ მგოსან ქალს აგერ 6 წელიწადია პოეტობა დაუწყია. ამ ხნის განმავლობაში ნიჭი განვი-

თარდებოდა რასაკვირველია და აი ამ განვითარების სანიმუშოთ მოვიყვან ერთ ბოლონდელ ლექსს და თანაც პირობას გაძლევთ მეტი ნიმუშებით აღარ შეგაწუხებთ:

**ზამთარი:**

„თოვლის ფერფლი პეპელასებრ
მოხტის,—ჰაერში ფრიალებს!
ქვეშ მდელო და მინდორ ველი
ბროლ ფიქალა გულს უხვედრებს!
დაბურულა თეთრი, თოვლით
ხენი, ტყენი— ცის კამარა!
თითქო ჩადრში გახვეულა
სულერთიან ეს ქვეყანა!
აქა-იქაც ნაკადული
მისჩქებს—მიარაკრაკებსა!
სადმე მზისაგან გამდნარი
მარდათ მიექანებისა!“

იმედია დამერწმუნებით, რომ დიდი განვითარება ეტყობა მგოსნის ნიჭს: ,,თოვლის ფერფლის პეპელასავებრ ხტუნაობა,'' ,,ცის კამარის თოვლით დაბურვა'' და სხვა ამგვარები აშკარა თავმდებია...

დანარჩენი ლექსები: ,,უსაყვარლესს და უძვირფასეს ჩემს მამის—დეკანოზ რაჟდენ გიგაურის ხსოვნას;'' ,,სურათს'' ,,ამხანაგს,'' ,,ვინმეს,'' ,,ზოგიერთს,'' ,,ახლანდელ მეგობარს'' ,,ა. ხ-ს,'' ,,კატოს,'' ,,ჩემს ძმას საშიკოს,'' ,,ჩამს დედას'' ,,ან. ქ—ძს,'' ,,ჩემ დის შვილის სერგის სურათზე,'' , კნ. ნიცა წ ს,'' ,,ჩემს ძმის კოწიას ხსოვნას'' და სხვა და სხვ. ჩვენ აქ არ შევეხებით.

**ნაცარ ქექია.**



**მათრახის ფოსტა.**

**კულაში.** კულაშელს. თქვენი ლექსი:

„ია ვარდო
გულის დარდო,
მსურს რომ განვიკურნო დარდიდან მე
და ჩემს სატრფოს ჩავეკონე შენი ქარიმე“.

არ დაიბეჭდება. „სატრფოს ჩაკონების“ ნებართვა რედაქციისაგან არ არის დამოკიდებული. აგრეთვე შეუძლებლად მიაჩნია რედაქციას თქვენი „განკურნებაც“, მაგრამ არა „დარდებისაგან“, არამედ «პოეტობისაგან.»

**სამტრედია.** კაკს. არა.

**ყვირილა.** გრიცკოს. თქვენი „გაზაფხული“ ალაგალაგ ძლიერ წააგავს გაზაფხულს, მაგრამ ზოგან ნამდვილ ზამთარს განიცდის პოეზიის მხრივ

**კაცხელს.** ,,ტყეს'' არ დაიბეჭდება.

**ხიდისთავი** (გურია) ნაღვლიანიძეს. .,ვარსკვლავთა'' გზებ, ერთობ სხვა და სხვა გვარია და საზოგადოთ ყველანი ღამე, ანუ უკეთ ვსთქვათ სიბნელეში ანათებენ.

—,,მე ჩემთვის ვიწვი, ჩემთვის ვანათებ
მივექანები შორს, შორს მხარესა,
და ისე ვაფრქვევ მიწას სინათლეს
აღარც კი ვიცნობ გულ მწუხარესა''.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ვარსკვლავი მაინცა და მაინც ვერაფრად აფრქვევს სხივებს, მაგრამ თქვენი ლექსის ,სხივებთან'' შედარებით ის ნამდვილი მზეა.

**ვინმეს.** გამოაგზავნეთ.




ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში, სასმელების დუქანში, ტრაქტირებში და სასტუმროებში.

10 ბოთლს ზევით უგზავნით ვუმთავრესი საწყობიდან ჩვენის ხარჯით მხოლოდ ტფილისში.

По такому этикету продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

უმთავრეს საწყობიდან ღვინო დაეთმობათ შემდეგ ფასებში:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| № 1 | . | — 20 к. | 16 | „ | — 3 р. |
| № 2 | „ | — 25 к. | 16 | „ | — 3 р. 60 к. |
| № 3 | | — 35 к. | 16 | „ | 5 р 10 к. |
| № 4 | „ | — 50 к. | 16 | „ | — 7 р. |

Адресъ: Тифлисъ, мухранская ул. д № 81
Михаилу Николаевичу Кодалову.




**თითო ნომერი ყველგან 10 კაპ.**

წლიურად 5 მ., ნახ. წლით 3 მ. ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრამ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან.

ადრესი: Тифлисъ, контора Груз. Драм. об—ва, Іос. Зах. Имедашвили (სათავადაზნ. ქარვასლაში, ქართულ თეატრთან).

რედ.-გამომც. **იოსებ იმედაშვილი.**

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა

# კოოპერაცია

(თეორია ისტორია და პრაქტიკა.)

გამოცემა „შრომის“ სტამბის ამხანაგობისა

შინაარსი: რა არის კოოპერაცია? კოოპერაციის მიზანი, ისტორია, სხვა და სხვა გვარი კოოპერაცია: მომხმარებელი საზოგადოება. მწარმოებელი ამხანაგობანი, საკრედიტო კოოპერატივები. კოოპერაცია სოფლად. ანგარიში კოოპერატიულ დაწესებულებებში. მნიშვნელობა კოოპერაციისა. კოოპ. ჩვენში. ● წიგნის ფასი 35 კაპ. ●

ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს დაეთმობა 25% დაკლებით ერთი ცილის მსურველს ქალაქ გარეთ შეუძლია 35 კაპ. ღირებული საფოსტო მარკა გამოგზავნოს. გასაგზავნი არ გადახდება. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія „Шрома“, Василію К. Болквадзе. (10—2)

იყიდება „შრომის“ სტამბაში
და აგრეთვე გაეგზავნებათ მსურველთ:
1909 წლის „ალმანახები“ 7 ნომერი
და „მათრახი და სალამური“ 29 ნომერი
ერთად შეკრული . . . 2—50 კ.

წლიწადი 1910 წლისათვის მეორე.

მიიღება ხელის მოწერა

# ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე

# მათრახი და სალამური



ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს, ავესტროს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთად

## პრემიათ გაეგზავნება
## ახალი კრებული

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.
ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома“
Василію Карамановичу Болквадзе.


ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუს. ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი ბ. ტურაბელიძე.